

# საბრძოლო

საერთო უფროსი გაზეთი

საბრძოლო 5 თებერვალი 2004 №24 (2043)

ფასი 50 თეთრი

## დარ-ასა!

### იოკოტორი ტრანსფერი



გადრი კატილაშის ფოტო

მოსკოვის „დინამო“, „სპარტაკი“, „ტორპედო“, იაროსლავლის „შინიკი“ — აი, ის გუნდები, რომლებიც ესენვეს თასზე თავგამოჩენილ თბილისის „დინამოს“ ნახევრმცველ ვიტალი დარასელიას ეპატიუებოდნენ, თუმც მათ არაფერი გამოუვიდათ და ჩვენს მეზობელ ვლადიკავკაზის „ალანიას“ დაეხვედნენ. „ალანია“, რომელსაც წლეულს უმსხვილესი რუსული ნავთობკომპანია „იუკოსი“ დაეპატრონა, დედაქალაქურ კლუბებს ქართველი ფეხბურთელი ცხვირწინ აწაანა და ისეთი პირობები შესთავაზა, უარი რომ არ ითქმოდა.

დარასელია და „ალანია“ დღეს ორწლიან კონტრაქტს გააფორმებენ, ხვალ-ხვ კი ჩვენთან ახალ კლუბს გაერთიანებულ საემიროებში შეუერთდება.

— იაროსლავლის „შინიკი“ ჩემი გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, თუმცა ბოლო მომენტში „ალანია“ დაიჭირა ჩემთან საქმე უკეთესი პირობები შემომთავაზეს, მათი ამბიციაც ჩემთვის „შინიკზე“ მეტად მისაღები გამოდგა და ამიტომაც გადავწყვიტე ოსურ კლუბში გადასვლა — გვითხრა ვიტალი დარასელიამ, როცა მოსკოვში დაუკავშირდით — ერთიცაა, ვლადიკავკაზში რომ ვითამაშებ, თბილისთან ძალიან ახლოს ვიქნები.

— კი, მაგრამ, შარშან „ალანია“ პრემიერლიგადან გავარდნას ძლივს გადაურჩა და წლეულს ასეთი რა მიზანი აქვს, რომ შენი ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილოს?

— ოსები მაგარ გუნდს აკეთებენ. ის გეცოდინებათ, რომ მწვერთვულად ფრანგი კურბისი დანიშნეს, მის გარდა კი ჩვენთვისა და პოლონეთის ნაკრებთა ფეხბურთელები მიიწვიეს, დღე-დღეზე „ალანიას“ ერთი ფრანგი ფეხბურთელიც დაემატება. ფინანსურად ოსებს არ გაუჭირდებათ, კლუბის პატრონი „იუკოსია“, ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ნავთობკომპანია. მიზანი კი ხუთეული და ევროსარბიელზე თამაშია. ოსებს სხვას ნურაფერს გააგონებ.

— კონტრაქტი უკვე გააფორმე?

— არა, ხვალ მოვაწერ ხელს და „ალანიაში“ ორი წელი ვითამაშებ.


— „სპარტაკი“, „ტორპედო“, „დინამო“, „შინიკი“ — „ალანია“ როდისღა გამოჩნდა?

— რა ვიცი, ჩანს, თანამეგობრობის თასზეც მაკვირდებოდნენ. ისე, „შინიკისა“ და „ალანიას“ გარდა პირადად მოლაპარაკება არც ერთ სხვა გუნდთან არ მქონია, თუმც ვიცოდი, რომ სხვებიც იყვნენ ჩემით დაინტერესებულნი.

პოპა ინასარიძე

## როლარია თურქეთის აბენტს არ აბაირაბებს

...ნაკრებს მწვრთნელი ჰყავს, უფრო სწორად, უყოლება: 15 თებერვლამდე, როცა ნაკრები კვიპროსზე გაემგზავრება, მწვრთნელი დანიშნული იქნება...





## სუპერმარკეტი



### თავისი შაში შაშისან პოპოდა

გუშინ ერთი ახალი ამბავიც შევიტყვეთ — ვლადიკავკაზის „ალანია“ „დინამოს“ კაპიტან გიორგი შაშიაშვილს ეპატიუება. ოსებმა თავიანთი სურვილი „დინამოს“ უკვე გაანდეს, მეტიც — საქართველოს ჩემპიონებთან სატრანსფერო თანხაზეც მოილაპარაკეს და ახლა ოდენ ფეხბურთელის კონტრაქტი ყოფილა შესათანხმებელი.

— დიან, ვიცი, რომ „ალანია“ სერიოზულადაა ჩემი გადაბირებით დაინტერესებული. ესენვეს თასზე თამაშის შემდეგ ჩემს თაობაზე „დინამოში“ ვლადიკავკაზიდან ფაქსი მოვიდა. „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა თავად მითხრა ამის შესახებ. ისიც ვიცი,



რომ კლუბები სატრანსფერო თანხაზე უკვე შეთანხმდნენ, შეთანხმებულები ვართ მე და „დინამოც“. ასე რომ, ტრანსფერამდე „ალანიასთან“ მხოლოდ ჩემს პირად კონტრაქტზეა სალაპარაკო. იქამდე კი, ოსების თხოვნით, კვიპროსზე ვარ, „დინამოსთან“ ერთად ვვარჯიშობ

და ნაკრებშიც ვითამაშებ. ამასობაში „ალანია“ საემიროებიდან დაბრუნდება, ჩვენ — კვიპროსიდან და ჩემი ტრანსფერის ამბავიც მაშინ გადაწყდება — გვითხრა გუშინ გიორგი შაშიაშვილმა.

ვლადიკავკაზის „ალანიას“ უქართველებოდ სეზონი არ უთამაშია და, აბა, წლეულს რა ღმერთი გაუნყრებოდა, ერთი-ორი ჩვენთან მანც არ მიენვია. ლევან გვაზავა უკვე „ალანიასთან“ ერთადაა გაერთიანებულ საემიროებში, ვიტალი დარასელია ოსებს ამ კვირაში შეუერთდება და ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს, ლაპარაკობენ „სკონტოდან“ ზურაბ მენტეშაშვილის დაბრუნებაზეც.

გადრი კატილაშის ფოტო

პოპა ინასარიძე












კარლო ანჩელოტის საკუთარი ფეხბურთელების ერთსულოვნება ხიბლავს

# ანჩელოტი: ფორსა იუვა!

იცი, რისი ეშინია „მილანის“ მწვრთნელს კარლო ანჩელოტის? იმის, რომ კვირას „იუვენტუსმა“ შესაძლოა, „რომას“ ვერ მოუგოს. ანჩელოტი ფაბიო კაპელოს გუნდს უფრთხის.

ერთი შეხედვით, მათი ფრე უნდა გვაძლევდეს ხელს, რადგან თუ ჩვენ „პერუჯას“ მოუგებთ, შვიდი ქულით დავეწინაურდებით, მაგრამ როგორც კი დარჩენილ კალენდარს დაეკვირდებით, დავინახავთ, რომ შორსმიმავალი მიზნისთვის „იუვენტუსის“ გამარჯვება გვირჩევია — უთხრა ანჩელოტი „გაძეგა დელო სპორტს“ — საქმე ის გახლავთ, რომ „რომასგან“ განსხვავებით, ტურინელებს ჩვენსავით სამ ფრონტზე, სერია A-ში, იტალიის თასზე და ჩემპიონთა ლიგაში უწევთ ბრძოლა. „რომას“ მხოლოდ სერია A და უეფას თასი დარჩა, ასე რომ, სეზონის მიწურულისთვის საბედისწეროდ მნიშვნელოვანი ძალ-ღონის შემონახვა ჩვენზე მეტად მას შეუძლია“.

# ჩაატვირთეთ სისფერი დი ბიაჯომ ბრაზაბონის სიყვარული აუხსნა



ლუიჯი დი ბიაჯო

ბუნებრივია, რომ დღეს, 19 ტურის შემდეგ სკუდეტოს მთავარ ფაქტორად „მილანს“ მიიჩნევენ, მაგრამ მისი მწვრთნელი ფრთხილად არის: „უპირატესობით კმაყოფილი მაინც არა ვართ. ამკარად საჭიროა კიდევ უფრო სერიოზული ნაბიჯი გადავდგათ. ახლა თავს გაჩერების ნებას ვეღარ მივცემთ. ჩემი ფეხბურთელები ყოველ შეხვედრაში მხოლოდ მოგების მიზნით გავლენ მოუდნენ სკუდეტო ვერ შორს არის და ამიტომ გაყოფილება დაუშვებელია“.

აქამდე ანჩელოტის რომ ეკითხებოდნენ, ასე კარგად როგორ მიდიხართო, პასუხობდა, ყველაფერი იმის ბრალია, რომ ძველმოღურ, ყუათიან მაკარონს დიდი თეფშით მივირთმევით, ახლა კი პასუხი შეცვალა:

„გუნდში დიდი ერთსულოვნებაა. მე 25 მუხლჩაუხრელი მოთამაშე მყავს. ისინი პრობლემებს არ ქმნიან და ჩემს გადაწყვეტილებებს ეთანხმებიან“.

ერთ-ერთი ამ ოცდახუთთაგანი

გახლავთ დანიელი იონ დალ ტომასონი, რომელიც მართალია, „შეწითელდა“ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება, მაგრამ ამის მიუხედავად, „მილანში“ სურს კარიერის გაგრძელება.

„ვიცი, რომ როგორც იტალიაში, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებში ბევრი კლუბს სურს ჩემი შემქნა, რისთვისაც მათი მაღლობელი ვარ, მაგრამ მე ყველაზე მეტად „მილანში“ დარჩენა მსურს, თავს ამ დიდი გუნდის ნაწილად აღვიქვამ. ფაქტობრივად, მსოფლიოს საუკეთესო კლუბის წევრი ვახლავართ და მინდა ამ სეზონში სამივე ჯილდო მოვიპოვო. ვიცი, ძნელი ამოცანის შესრულება, მაგრამ უნდა გამოვიტყდეთ, რომ ძლიერ ამბიციური ადამიანი ვახლავართ. მწამს, რომ „მილანს“ ამოუწურავი შესაძლებლობები და დაუჯერებლად მაღალი ოსტატობა აქვს. ერთი სიტყვით, მართლა მჯერა, რომ ყველაფრის მოგება შეეძლება“ — ამბობს ტომასონი.

ბაბუნა კილია

„ბრემას“ 32 წლის ნახევარმცველმა, ლუიჯი დი ბიაჯომ „სკუადრა აპურას“ მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის შანსი სთხოვა. მოგესხენებათ, დი ბიაჯო ადრე იყო ნაკრების წევრი, მაგრამ ერთი ხანია, იძულებულია მხოლოდ საკლუბო ფეხბურთს დასჯერდეს. თუმცა, მისდა საბედნიეროდ, ბოლო დროს აქა-იქ გაისმა ხმები მისი „სკუადრა აპურაში“ დაბრუნების შესახებ, განსაკუთრებით მას მერე, რაც თავი ცენტრალური მცველის პოზიციაზეც მოსინჯა და გამართლდა.

ნაკრები ყველა რგოლში კარგად არის დაბალანსებული, მაგრამ ტრაპატონი ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა და ამის შედეგად — უთხრა დი ბიაჯომ „გაძეგა დელო სპორტს“ — მე გუნდს შემოძლია მოქნილობა შევიძინო, რადგან დაცვის ცენტრშიც მუშაობდა თამაში და მოედნის შუაშიც. ცისფერი მაისურის ჩაცმა ჩემთვის დიდი სიამაყე და ბედნიერების განცდა

ბაბუნა კილია

# მატერაცი ტიპი დასვეს

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „ინტერის“ მცველი, მარკო მატერაცი 29 მარტამდე დისკვალიფიკაციით დასაჯა. მისი დანაშაული ცნობილია: „სიენას“ მცველს, ბრუნო ჩირილოს ტური გაუხუტა — მისი ეს საქციელი თანამსაჯმა შენიშნა, რის შემდეგ ჩირილო იტალიის სახელმწიფო ტელევიზიაში მივიდა და გახუტეული ტური მსხვილი პლანით აჩვენა ერს. ერთი სიტყვით, მატერაციის საჯარო ბოდიშის მოხდა მოუწია, თუმცა სადისციპლინო კომიტეტის დასკვნაში ერთობ შემადარწუნებელი ფრაზები წერია: „წინასწარი პროვოკაცია არ ყოფილა და ეს იყო აგრესიის აქტი საკუთარი ქვეყნის კონტროლს მიღმა“. გამოდის, რომ მატერაციის უკონტროლო აგრესიის შედეგები აქვს.

ჩირილო ერთიხანობა სასამართლოში აპირებდა ჩივილს. მისი თქმით, ეს სამართლიანობისთვის იყო საჭირო და არა შურისძიებისთვის. და მართლაც, როგორ გინდა შევეუო იმას, რაც მოხდა? ბოლოსდა ბოლოს, იმ შეხვედრაში მატერაცი ძირითად შემადგენლობაში კი არა, სათადარიგოთა შორის ანუ განაცხადშიც კი არ იყო. იგი „ინტერის“ რამდენიმე წევრთან ერთად მოედნის კიდესთან იჯდა, რადგან ბარდაყი აქვს ნატყენი.

როგორც ჩირილო ყვება, მატერაციმ „ურქინა“ და დარტყა, საფინანსო სასტვენის შემდეგ იგი მილანელთან განმარტებისთვის მივიდა და, როგორც ირკვევა, გასახდელისკენ გზაზე ატყდა დანარჩენი. აქ უკვე მატერაცი ამბობს, რომ მას მოუხდა თავის დაცვა, თუმც ჩირილოს მტკიცებით, მას ჯერ და-



მარკო მატერაცი

არტყეს და ამის შემდეგდა მოუწია ჩხუბი.

ამბობენ, რომ „ინტერი“ მატერაციის თავის წილ ჯარიმას, საჯარაუდოდ, 50 ათას ევროს დააკისრებს, ხოლო სადისციპლინო კომიტეტმა კლუბს მიუსაჯა 5 ათასის გადახდა. ერთი სიტყვით, მარკო მატერაციის სერია A-ს 8 თამაშის გამოტოვება მოუწევს, მათ შორის 21 თებერვალს მილანური დერბოსა და „რომასთან“ დაპირისპირების, ეგ კიდევ არაფერი, კლუბის პრეზიდენტ ჯანინტო ფაკეტის მისი გაყიდვაც კი განუზრახავს.

ბაბუნა კილია

# ბობო მხოლოდ მებობარია?



კრისტიან ვიერის იტალიურმა მედიამ „მილანის“ მაისურა უკვე მოარგო

# ბალიანი ვიერის მილანი უმაპარა

რას ამბობთ, რას?! ვიერი „მილანში“ გადავა? ნუთუ დასაშვებია „ინტერის“ ვარსკვლავი, თუნდაც ბოლო დროს კლუბის ხელმძღვანელებთან ურთიერთობა არეული, „სან სიროზე“ დარჩენს, ოღონდ მერე ბანაკში?

არადა, რინო გატუსოს ფონდის წიგნის პრეზენტაციაზე კრისტიანი ან თუ ფაბილარულად გნებავთ ბობო, 20 წუთის განმავლობაში ბალიანის და ბრაიდას ელაპარაკებოდა.

— ვიერი „მილანში“? გარკვევით არაფრის თქმა შემიძლია. თუმცა ასეა თუ ისე, ამის გაკეთება ძნელი საქმე რომ არის, ფაქტია. ბობო პრეზენტაციაზე იმიტომ, რომ ჩემი მეგობარია — თქვა თავად გატუსომ.

ამბობენ, რომ ვიერი ჯერჯერობით ფურნალისტების ზარებს არ პასუხობს.

ბაბუნა კილია






















# პირველი მარტოკასი

ფრანგმა ზღვაოსანმა ფრანსის ჟოთონმა ბოთლიც ააშუშუნა და მონატრებული ცოლ-შვილიც ნახა. ბრესტის ნავსადგურში ის ზუსტად დაბრუნდა და პირველი მარტოკაცი შეიქნა, მის დღეში რომ შემოსცურა დედამიწას თავისი ნავით.

REUTERS პრესტიდან



# ღობოს მარცვლები



REUTERS ტოკიოდან


იაპონური მთვარის კალენდრის მიხედვით, ახლოვდება გაზაფხული და ხალხიც ზეიმობს გაზაფხულის დაბრუნებას. აქ ერთი ამბავია: ადათი ამბობს, რომ ვინაც ამ რიტუალის დროს ტაძრის აივნებიდან გადმოყრილ ლობოს მარცვლებს დაიჭერს, მთელს წელიწადს იღბალი აუღვევება. პატარა პარკებში ჩაღვებულ მარცვლებს კი ზოჯოჯის ტაძრის აივნიდან სუმოს განთქმული მოჭიდავე ტობიასუმა უყრის ხალხს.



REUTERS ტუნისიდან

# ღობვა


ვრძელდება აფრიკის თასი და ეგვიპტის ნაკრებიც ალაპსა სთხოვს, ხელი მოუშარტოს კამერუნელებთან მატჩში მონასტირის სტადიონზე. ის თამაში კი უგოლოდ დასრულდა და ეგვიპტე პლეი ოფში ვეღარ ვაგვიდა.



REUTERS უდაბაშტიდან

# ევა და რიკო

ბუდაპეშტში ფიგურული სრიალის ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს. ეს ახირებული ფოტოც ამ შეჯიბრის მოკლე პროგრამიდან გამოდნა. წყვილი გერმანულია: ევა-მარია ფიტცე თავდაყირა იცინის, რიკო რეკის მკლავები კი მტკიცეა.



REUTERS მინსკიდან

# ჯარი ზის, ქალი ალაპებს

ქალი აპრიადებს, ჯარი კი ზის. ბელარუსის მხარეა, ამდენი ჯარით სხვა რომელი იქნება?! ბელარუსები დევისის თასზე რუს ჩოგბურთელთა ნაკრებს მასპინძლობენ მინსკში, კორტი კი საფეხბურთო სტადიონზე დაუგიათ.

**სარბიელი**  
საორტული გაზეთი  
გამოიცმევა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის ორშაბათს,  
სამშაბათს, ოთხშაბათს,  
ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჯორჯაძე  
დირექტორი ბიორბი ოძროშაძე  
რედაქტორი თამაზ მიხრაიული  
რედაქტორის მოადგილე სოსო კორტოვიძე  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი  
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერასე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიასვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომეიკი, ვაჟა ზუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი  
ინფორმაციის რედაქცია: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუნაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი ვოხლიაშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ნათია ბუნუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალისვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

გამომცემლის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
მახაბაძის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი - 79, საფოსტო  
მისამართი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbieri@gol.ge  
ელექტრონული ვებ-გვერდი  
<http://www.sarbieri.com.ge>